

დამტკიცებულია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის საბჭოს
2021 წლის 18 აპრილის სხდომის ოქმი N3

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე, საბაკალავრო პროგრამაზე "მოდის დიზაინის ტექნოლოგიები" სწავლის გაგრძელების მსურველთათვის ხატვაში გასაუბრების ჩატარების

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. დებულება არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - სტუ) არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“ ჩარიცხვის მსურველთათვის ხატვაში გასაუბრების ჩატარების წესს და პირობებს;
2. ამ დებულების სამართლებრივი საფუძვლებია "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, სტუ-ს რექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული და სხვა ნორმატიული აქტები.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

ამ დებულების მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა. გასაუბრება ხატვაში – სტუ-ში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე: "მოდის დიზაინის ტექნოლოგიები" სწავლის გაგრძელების მსურველთათვის, ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე, სწავლის უფლების მოსაპოვებელი, სავალდებულო პროცედურა, რაც ვრცელდება სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის აბიტურიენტებზე.

ბ. ხატვის კომისია (შემდგომში - კომისია) – სტუ-ში ხატვაში გასაუბრების ჩატარების ორგანიზაციულ მხარეზე პასუხისმგებელი ორგანო.

გ. საპრეტენზიო კომისია - საპრეტენზიო განცხადებების განხილვის მიზნით შექმნილი დროებითი ორგანო;

დ. ხატვის კომისიის თავჯდომარე - პირი, რომელიც ხელმძღვანელობს სტუ-ში "შემოქმედებითი ტურის" ჩატარების პროცესს.

ხატვის კომისიის წევრები - აბიტურიენტების მიერ გასაუბრებაზე წარმოდგენილი ნამუშევრების შემფასებელი ექსპერტები/სპეციალისტები.

ვ. კომისიის მდივანი - პირი, რომელიც ახორციელებს აბიტურიენტთა/მობილობის მსურველ სტუდენტთა რეგისტრაციას და ეხმარება კომისიას გასაუბრების პროცესში წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტაში.

ზ. აბიტურიენტი - სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რომელსაც გააჩნია საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და სწავლის გაგრძელებას აპირებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე: "მოდის დიზაინის ტექნოლოგიები".

თ. მობილობის მსურველი სტუდენტი - საქართველოს ნებისმიერი აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი, რომელსაც აქვს სურვილი - სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე, დარეგისტრირებულია სსიპ -განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე და სტუ-ში შემოიტანს შესაბამის განაცხადსა და თანდართულ დოკუმენტაციას.

მუხლი 3. ხატვაში გასაუბრების პროცესის ადმინისტრირება

1. ხატვაში გასაუბრების ჩატარების მიზნით სტუ-ს რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე იქმნება სტუ-ს ხატვის კომისია და ინიშნება მისი თავმჯდომარე, წევრები, კომისიის მდივანი;
2. სტუ-ს ხატვის გასაუბრების კომისიის შემადგენლობაში შედის თავმჯდომარე და არანაკლებ სამი წევრი;
3. გასაუბრების ჩატარების პროცესში სტუ-ს პასუხისმგებლობას განეკუთვნება მისი ხარისხიანი, მაღალ დონეზე ორგანიზება, აბიტურიენტების მიერ წარმოდგენილი ნამუშევრების სამართლიანი შეფასება და შეფასების საბოლოო შედეგების (ჩათვლა ან არ ჩათვლა) დროული მიწოდება ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებაზე პასუხისმგებელი სუბიექტისათვის – გამოცდების ეროვნული ცენტრისათვის.

მუხლი 4. არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე ჩარიცხვის წესი აბიტურიენტებისათვის/მობილობის მსურველი სტუდენტებისათვის.

ა) აბიტურიენტებისათვის

1. სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე აბიტურიენტების ჩარიცხვა ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 27 მარტის ¹N¹²⁷ ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების მე-8 მუხლის, მე-3 პუნქტის, "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული "შერეული წესით", რომელიც გულისხმობს აბიტურიენტთა/ მობილობის მსურველ სტუდენტთა ჩარიცხვას გასაუბრების და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად, კოეფიციენტებით რანჟირებული ქულებით.
2. სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე: "მოდის დიზაინის ტექნოლოგიები" მისაღებად

აბიტურიენტებისათვის კონკურსით გათვალისწინებული საგნებისათვის კოეფიციენტები განისაზღვრება შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

საგამოცდო საგნის დასახელება	კოეფიციენტი	მინ. ზღვარი	პრიორიტეტი
ქართული ენა და ლიტერატურა	3	25%-ზე მეტი	3
უცხოური ენა (გერ.; ინგ.; რუს.; ფრან.)	3	20%-ზე მეტი	2
ერთ-ერთი შემდეგი სავალდებულო საგნებიდან			
მათემატიკა	6	20%-ზე მეტი	1
ისტორია	6	25%-ზე მეტი	1

3. ხატვაში გასაუბრების შედეგების მიხედვით (ჩათვლა ან არჩათვლა) დგინდება აბიტურიენტთა კომპეტენცია შესაბამის საგნებში, რაც ეროვნული გამოცდების დებულებით გათვალისწინებული სამი სავალდებულო და ერთი არჩევითი საგნის გამოცდის შედეგებთან ერთად ავლენს იმ აბიტურიენტთა ნუსხას, რომლებმაც მოიპოვეს სწავლის გაგრძელების უფლება სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე.

ბ) მობილობის მსურველი სტუდენტებისათვის

1. სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე მობილობის წესით ჩარიცხვის უფლება აქვთ სტუდენტებს, რომელთაც სსიპ -განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე გაივლის რეგისტრაციას და სტუ-ში შემოიტანს შესაბამის განაცხადსა და თანდართულ დოკუმენტაციას;
2. სტუ-ს მობილობის წესით ჩარიცხვის უფლება ეძლევა სტუდენტს უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი სემესტის შემდეგ.
3. სტუ-ში არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე, საბაკალავრო პროგრამაზე „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“ მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი სტუდენტი ვალდებულია ამ დებულების თანახმად გაიაროს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი გასაუბრება ხატვაში. იმ შემთხვევაში თუ მობილობის მსურველ სტუდენტს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში წარმატებით გავლილი აქვს შემოქმედებითი ტური ხატვაში, მას არ მოეთხოვება სტუ-ში გასაუბრების გავლა და სტუ-ში ჩარიცხვა ხდება მხოლოდ მის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის დადგენით სტუ-ს საგანმანათლებლო პროგრამასთან.

4. თუ არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე მობილობის მსურველთა განცხადების რაოდენობა რეგისტრირებული ადგილების რაოდენობაზე მეტია, ჩარიცხვის უფლებას მიიღებს ის სტუდენტი, რომლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები აღემატება მობილობის სხვა მსურველთა შესაბამის შედეგებს იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხულია ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღებამდე, მისი ჩარიცხვა სტუ-ში მოხდება დამატებითი გასაუბრების შედეგების შესაბამისად.

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის

სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე საგანმანათლებლო პროგრამის პირველ საფეხურზე სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად დასაშვებია:

1. უცხო ქვეყნის იმ მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე აბიტურიენტისათვის, რომელმაც უცხო ქვეყანაში მიიღო სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება, მაგრამ არანაკლებ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სწავლების შესაბამისი ხანგრძლივობისა და პროგრამის ათვისების შედეგად;
2. უცხო ქვეყნის იმ მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე სტუდენტისათვის, რომელიც სწავლობს უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
3. პირებისათვის, რომლებიც წარმატებით გაივლიან გასაუბრებას ხატვაში და გადალახავენ კომპეტენციის მინიმალურ ზღვარს.

მუხლი 5. ხატვაში გასაუბრების ჩატარების ფორმა და შეფასების სისტემა

1. **გასაუბრება ხატვაში** მიზნად ისახავს მარტივი კომპოზიციის შესრულების ტექნიკური ხერხებისა და ფერის სწორად აღქმის უნარ-ჩვევების შემოწმებას. გასაუბრებაში მონაწილე აბიტურიენტს/მობილობის მსურველ სტუდენტს ევალება კომისიას წარუდგინოს საკუთარი ხელით შესრულებული თავისუფალი ან/და მარტივი გეომეტრიული ფიგურებით შედგენილი კომპოზიცია, როგორც გრაფიკულად, ასევე ფერში (იხ. თანდართული ნიმუში დანართი №1). იმისათვის, რომ აბიტურიენტმა (მობილობის მსურველმა) წარმატებით გაიაროს გასაუბრება ნამუშევარი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:
 - ა) წარმოდგენილ ნამუშევარში დაცული უნდა იყოს კომპოზიციის ძირითადი კანონზომიერებები;
 - ბ) წარმოდგენილ ნამუშევარში სწორად უნდა იყოს შერჩეული ფერთა გამა.
 - გ) წარმოდგენილი ნამუშევარი სწორად უნდა იყოს შესრულებული ხატვის ელემენტარული ტექნიკური ხერხების გამოყენებით.

2. გასაუბრება წარმატებით გავლილად შეიძლება ჩათვალოს იმ აბიტურიენტს/ /მობილობის მსურველ სტუდენტს, რომელიც საგამოცდო კომისიას წარუდგენს მინიმუმ 3 ნამუშევარს, და შეასრულებს მუხლი 5–ის პუნქტი 1 და პუნქტი 2–ით გათვალისწინებულ აქტივობებს.
3. გასაუბრება ჩაითვლება წარუმატებლად და აბიტურიენტი /მობილობის მსურველი სტუდენტი ვერ მიიღებს ჩათვლას, თუ მან ვერ შეასრულა მუხლი 5–ის პუნქტი 1-2–ით გათვალისწინებული მოთხოვნები.
4. გასაუბრებაში უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, აბიტურიენტს უფლება აქვს გააგრძელოს მონაწილეობა ერთიან ეროვნულ გამოცდებში, თუმცა ის ვერ ჩაირიცხება სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიაზინის ფაკულტეტზე მოქმედ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე: "მოდის დიაზინის ტექნოლოგიები".
5. გასაუბრებაზე წარმოდგენილი ნამუშევრები რჩება კომისიის განმგებლობაში.
6. ხატვაში გასაუბრება აბიტურიენტისათვის უფასოა.

მუხლი 6. სტუ-ში აბიტურიენტთა რეგისტრაცია

1. სტუ-ში ხატვაში გასაუბრების მონაწილე ვალდებულია გაიაროს წინასწარი ელექტრონული რეგისტრაცია. ლინკი განთავსებული იქნება ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.
2. რეგისტრაციისათვის კანდიდატმა კომისიას უნდა წარუდგინოს პირადობის მოწმობა და მისი ასლი.
3. კომისიის მდივანი დაიტოვებს პირადობის მოწმობის ასლს, რომლის მონაცემები (გვარი,სახელი,პირადი ნომერი) აისახება სტუ-ის მიერ გამოცდების ეროვნულ ცენტრში წარდგენილ დოკუმენტაციაში.
4. ხატვაში გასაუბრების განრიგი, არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიაზინის ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, მტკიცდება სტუ-ს რექტორის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით.
5. გასაუბრების ჩატარების წესები (წინამდებარე დებულება) განთავსდება სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიაზინის ფაკულტეტის ვებ გვერდზე [www.gtu.ge/არქიტექტურის ფაკულტეტი/აბიტურიენტთათვის](http://www.gtu.ge/არქიტექტურის_ფაკულტეტი/აბიტურიენტთათვის).

მუხლი 7. გასაუბრების შედეგების გამოქვეყნება

1. ხატვის გასაუბრების კომისია შედეგებს, კომისიის თავჯდომარის ხელმოწერით, წერილობითი სახით დაუყოვნებლივ აქვეყნებს სტუ-ს შენობაში, არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიაზინის ფაკულტეტის მიმდებარედ, მინიმუმ სამ ადგილზე. ეს ინფორმაცია შემდეგ დღესვე განთავსდება სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიაზინის ფაკულტეტის ვებ გვერდზე [www.gtu.ge/არქიტექტურის ფაკულტეტი/ხატვასა და ხაზვაში გასაუბრების შედეგები/](http://www.gtu.ge/არქიტექტურის_ფაკულტეტი/ხატვასა_და_ხაზვაში_გასაუბრების_შედეგები/);
2. გასაუბრების შედეგებთან დაკავშირებული საპრეტენზიო განაცხადების მიღება, იწარმოებს გასაუბრებისთვის განსაზღვრული დროის პერიოდის დასრულების შემდგომ

მომდევნო სამუშაო დღეს 14 საათამდე, რის შემდეგ დაიწყება საპრეტენზიო კომისიის მიერ მათი განხილვა;

3. საპრეტენზიო განაცხადის საფუძველზე გასაუბრების შეფასებების შეცვლის შემთხვევაში დგინდება შეფასებათა საბოლოო შედეგები, რომელიც, საპრეტენზიო კომისიის მუშაობის დამთავრების შემდეგ, გამოიკვერება წინა დღეს გამოქვეყნებული შედეგების ადგილზე და იმავე დღესვე განთავსდება სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ვებ გვერდზე.

8. აბიტურიენტების/მობილობის მსურველ სტუდენტთა უფლება-მოვალეობები

აბიტურიენტები/მობილობის მსურველი სტუდენტები ვალდებული არიან:

1. სტუ-ის რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ დროის პერიოდში გამოცხადდნენ ხატვაში გასაუბრებაზე.
2. თან იქონიონ წინამდებარე დებულების მე-5-ე და მე-6 მუხლში ჩამოთვლილი დოკუმენტები.
3. გასაუბრების დასრულების შემდეგ ნამუშევრები ჩააბარონ კომისიის თავმჯდომარეს ან კომისიის წევრებს.

მუხლი 9. სტუ-ის ხატვის გასაუბრების შედეგების ამსახველი დოკუმენტები

1. სტუ-ში ხატვაში გასაუბრების კომისიის მუშაობის დასრულების შემდეგ კომისიის თავმჯდომარე სტუ-ს რექტორს მეორე სამუშაო დღესვე წარუდგენს გასაუბრებაში მონაწილე აბიტურიენტების სიას, საბოლოო შედეგების (ჩათვლა ან არჩათვლა) მითითებით, რის შემდეგაც დოკუმენტაცია იგზავნება გამოცდების ეროვნულ ცენტრში.
2. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტის ჩარიცხვა, ფორმდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის

ფაკულტეტის დეკანი



Handwritten signature in blue ink.

ნინო იმნაძე

